შაბათი 20 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებისფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 109 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 109

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირევნის თრსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ხვალ, 21 ივნისს, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა, დილის 11 საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადაიხდის პანაშვიდს ჩვენი მეისტორიის

დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, მის გარდაცვალების დღიდან 25 წლის შესრულების გამო.

პანაშვიდის შემდეგ ქალაქის თეატრში **უფასოდ** საზოგადოება მოისმენს ილია ივან. **ფერაძის** რეფერატს:

**მეისტორიკი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე და მისი ღვაწლი** 1—1

მიხეილ ოქროპირის ძე ქლენტი, მეუღლე მისი ნატალია ზურაბის ასული, შვილები მათი: ივანე, გრიგოლ, მარიამ და სალომე, შვილიშვილებით: შუშანიკა და ვახტანგ სერგის ასული და ძე, დომენტი ფირანის ძე უგრეხელიძე და მეუღლე მისი ზინობიერი და მღვდელი იაკობ სირბილაძე—გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ პირველნი და მეორენი ძმის, მესამენი დების, მეოთხენი ასულის და მეხუთე შვილის შვილის

**ბაბილინეს** (ექიმ ქლენტის მეუღლის)

გარდაცვალებას სოფ. ტყიბულში, 16 ივნისს. ცხედრის ჩამოსვენება მოხდება ქუთაისის სადგურზე კვირას, 21 ივნისს, დილის 9 საათზე, საიდანაც წაასვენებენ საფიჩხიის ეკლესიაში და შემდეგ წირვისა დაკრძალულ იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე. 22—486.

მმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**კერძო პროფესიონალური სასწავლებელი ოთხკლასიანი საქალებო**

პროგიმნაზიის კურსით, ევგენ. კორძაიასი

პირველ თიბათვიდან მოთავსებულია ოლდენბურგის ქუჩაზე, დავით აბდუშელიშვილის სახლში, სადაც მიიღება თხოვნები ყოველ დღე. გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდა, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვიდან. 3—2—476.

**ა ბ ა ნ ო.**

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი საოცარი მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

**აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.** თ.

**ექიმი რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

**საზაფხულო შენობაში.**

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება

**მეორე სერია** **მეორე სერია**

**ომი და მშვიდობიანობა.**

სრული მხატვრული ილიუსტრაცია **ლ. ტოლსტოის** პოემისა, ხუთ ნაწ. დადგმულია ვ. გარდინისა და ი. პროტოზანოვის ხელმძღვანელობით. ნაწ. 1. სამშობლოს ომის წინ. ნაწ. 2. თ. ან. ვოლკონსკი. ნაწ. 3. მომავალი მასსონი. ნაწ. 4. ბრძოლა აუსტერლიცთან. ნაწ. 5 ტილზიტის ზავი. მონაწილეობენ სახელოვანი ძალები: ო. პრეობრაჟენსკაია, ე. უვაროვა, შილინგი, ვოვშეკი და სხ.

**საზამთრო შენობაში.**

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ახალი პროგრამა:

**ჯადო ქვა.**

დრამა 3 ნაწილათ.

მოქმედება სწარმოებს ინდოეთში და ინგლისში.

**სამხედრო ქრონიკა.**

სკობელევის კომიტეტის გამოცემა № 14. „რადიუმის“ მონოპოლია.

**ხონთქარი ერთი საათით.**

მხიარული კომედია 2 ნაწ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სურათი ანონსი:

**ულელი ლურჯა**

აპუხტინის ცნობილი ლექსიდან. დრამა 4 ნაწ. ეპილოგით.

მონაწილეობენ ცნობილი არტისტები: **რინდინისა და მოზჟუხინი.**

ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტი ამით აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ საზოგადო კრება დანიშნულია ამა ივნისის 20-ს, დღით შაბათს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის ბინაზე.

**განსახილველი საგნებია:**

1. ანგარიშები 1913 წლიდან 1915 წლის ივნისამდის; 2. მოხსენება კომიტეტისა; 3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 4. წესდების მუხლის შეცვლა; 5. სხვა და სხვა საშუალების გამოძებნა საზოგადოების წევრთ რიცხვის გასამრავლებლათ და 6. არჩევანი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. 2—2—483

**გაბრიელ იოსების ძე ექიმი გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**კერძო ექიმი მიხეილ კაში** კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**რედაქციაში მოიტანეს** სხვადასხვა საბუთები სტუდენტ **პაკენტი ოდლისა.** ეს საბუთები **ნაპოვნია** სამტრედიიდან თფილისისკენ მიმავალ სახსნოო მატარებელში. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „**სამშობლოს**“ რედაქციაში. 10—1 უფ.

**კბილის ექიმები**

**მენაღარიშვილი** და **ტრუფანოვა** ბათომიდან გადმოვიდნენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

## კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 18 ივნ. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის გზით ჩვეულებრივი სროლაა. ანტინისთან ჩვენმა მატორიანმა ნავმა შეიპყრო ოსმალეთის იალქნიანი გემი, რომელზედაც ოსმალო-არტილერისტები ისხდენ. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

## გერმანიის გემები ვინდავასთან.

**პეტროგრადი.** 18 ივნ. 17 ამ თვეს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, შემდეგი გამოირკვა მტრის ფლოტის მოქმედების შესახებ: ფლოტი შესდგებოდა ერთი „ზიგფრიდის“ ტიპისა ჯავშნოსანისაგან, რომელსაც 15 კვანძი სისწრაფე აქვს და სამი $9\,^1/_4$ დიუმ. იარაღით არის შეიარაღებული, მისი ჯავშანი $8\,^1/_2$ დიუმიანია; ოთხი სრეისერისა და რამდენიმე ნაღმოსანისაგან. მტერმა მოქმედება დაიწყო კურლანდიის ნაპირებთან ვინდავის რაიონში. აქ მან ესროლა ვინდავის პორტს და მცირე დესანტის გადმოსხმაც სურდა. 15 წუთის უშედეგო სროლის შემდეგ, მტრის ფლოტი მოკლე არტილერიის ბრძოლის შემდეგ სამხრეთისკენ წავიდა. დესანტსაც ვესროლეთ და უკუვაქციეთ. ჩვენი ნაღმების ამოღების დროს აფეთქდა და დაიღუპა მტრის ერთი ნაღმოსანი, ჩვენის მხრით არავინ დაღუპულა არც გემებზე და არც ნაპირზე.

## გერმანიის ცნობის უარყოფა.

**პეტროგრადი.** 17 ივნ. ოფიც. გერმანულ ენაზე სოკჰოლმში რადიოტელეგრამით ცნობა გავრცელდა, თითქოს კენძულ სედერარნას მახლობლათ ჰოლანდჰეფში ჩვენ ნაღმოსანს აეფეთქებიოს ჰოლანდიის გემი „კენესი“, ვითომც ნეიტრალური გემი დაღუპულიყოს და ჩვენ გემს შემწეობაც კი არ აღმოეჩინოს მომაკვდავ ხალხისთვის. ჩვენ გვავალეს გამოვაცხადოთ, რომ ეს ცნობა სიცრუეა, რადგანაც ტელეგრამაში ნაჩვენებ დროს ამ რაიონში არცერთი ჩვენი გემი არ იმყოფებოდა.

## ბრძოლა ოჟაროვის რაიონში.

**პეტროგრადი.** 17 ივნ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ოჟაროვის რაიონში 12 სა და 13 ბრძოლა შემდეგ ამ ნაირად მიმდინარეობდა, 12-ს დაიწყო ავსტრიელთა შეტევა იანიკუვზე. მტერი მიუშვით ჩვენ მავთულებიან სიმაგრეებამდი და შემდეგ მას ჩვენმა ბატალიონმა ცეცხლი დაუშინა. მტერმა მრავალი მოკლული დასტოვა და უკან დაიხია. საღამოთი მტერი იერიშით მოვიდა შიმანუვკის ფოლვარკზე, აქ მან შესძლო სათადარიგო ჯარის შერყევა, მაგრამ დროზე საველე ბატალიონმა მოუსწრო და მტერი განდევნა. 13-ს მტერმა შეუტია გლინიანთან, სადაც ყაზახთა ბატალიონი იყო. მტრის არტილერიამ გააფუჭა ჩვენი ტყვიის მტყორცნელები. ავსტრიელები მოვიდენ ჩვენ მავთულიან სიმაგრეების და ისინი გადაჭრეს. ყაზახებმა შესძლეს ადგილის შენარჩუნება, მაგრამ ქვეითა ბატალიონმა უკან დაიხია, დივიზიის უფროსმა დახმარება აღუთქვა გენერალ მაიორს ტოკარევს, მაგრამ ტოკარევმა უარი სთქვა და რეზერვის ერთი ბატალიონით მტერს შეუტია. ნახევარი საათის ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ავსტრიელები გაიქცენ. ღამით მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და კონტრ-იერიში გაიმეორა, მაგრამ მოვიგერეთ. ტოკარევი მძიმეთ დაიჭრა და გადაიცვალა. მტერმა სანგრებში დასტოვა 400 მოკლული, მარჯვენა მხრით ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ მხოლოთ 50 კაცი. ჩვენი დანაკლისი: მოკლულია კომანდირი, დაიკარგა 126 ჯ. კაცი, უმეტეს ნაწილათ დაჭრილები, რომლებიც ბატალიონის უკან დახევის დროს სანგრებში დარჩენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## ლვოვი.

ლვოვიდან ჩამოსულნი იუწყებიან, რომ ქალაქს სრულათ არ შეუცვლია თავისი ჩვეულებრივი სახე. უმთავრესი ბრძოლა სწარმოებდა რკინის გზის ლიანდაგზე, ლვოვიდან სამხრეთ ჩრდილოეთით და ყუმბარები ქალაქს ვერ აღწევდა.

ბულგარეთის გაზეთების ცნობით, ბულგარიის სახელმწიფოს ეხლანდელი ვალი უდრის 320 მილ. მანეთს. **რითი ვართ დავალებული რუ-**

## სეთისაზან.

ამ სათაურით იწყებს თავის წერილს ლონდონის გაზეთი „დეილი მაილ“: მიუხედავათ მტრის სიმრავლისა და რკინის გზის უქონლობისა, რუსეთის ჯარმა 7 კვირის განმავლობაში აიტანა უმაგალითო ბრძოლა. თუმცა ის იძულებული იყო უკან დაეხია, მაგრამ ამით მტერმა მისი დამარცხება ვერ შეძლო: ლვოვიდან გასვლის შემდეგ, მას არ დაუკარგავს სულის სიძლიერე. უმაღლესმა მთავარ-სარდალმა შეინარჩუნა ნიჭი მტრის დასამარცხებლათ. კაცობრიობის განმათავისუფლებელ ბრძოლაში რუსეთმა დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა. მან დაიფარა: საფრანგეთი ოსტერროდე'თან გამარჯვებით კალიშ-კრაკოვის იერიშით, ხოლო ბრიტანიას საშუალება მისცა თავის დროზე შეიარაღებულიყო. რუსეთისაგან გაწეული მსხვერპლი უმაგალითოა. და ვინც იცნობდა რუსის ხალხს, ეჭვი ასაოდეს არ ჰქონია მის სიმტკიცე და ხასიათის სისტემაში. „ბ. ვ.“

## ფრანგების მსხვერპლი.

საფრანგეთის „ადამიანის უფლებათ დამცველმა ლიგამ“ მიმართა მთავრობას, რომ ოფიციალურათ გამოაცხადოს რიცხვი ფრანგების მსხვერპლისა. ეს წინადადება აიხსნება იმით, რომ საფრანგეთში გავრცელდა სენტიმენტიური ხმები ფრანგების ზარალზე, რისთვის სწორი ცნობების გამოცხადება ლიგას უკეთეს საშუალებათ მიაჩნია საზოგადო აზრის დასამშვიდებლად. „დაგეთანხმებით ბ. მინისტრო, სწერს ლიგის თავ-მჯდომარე ბიუსონი, რომ საფრანგეთის ხალხი, რომელმაც ომის დაწყებასთანავე ამდენი გმირი მოგვცა, შესძლებს მხნეთ მოისმინოს სიმართლე; და ვაძლევ ჩემს თავს ნებას დაუმატო, რომ მას აქვს ამის უფლება.“

## რომი.

იტალიის მეფე მომქმედ ჯარში გაემგზავრა.

## ავსტრო-გერმანიის ჯარის გადაყვან-გადმოყვანა.

შვეიცარიიდან იტყობინებიან, რომ ტიროლისაკენ გაგზავნეს გერმანელთა 7 დივიზია, რომელიც იტალიის ფრონტზე იბრძოლებენ.

დღეს დღეობით რუსეთის წინააღმდეგ მოქმედობს გერმანელთ 55 დივიზია. „ბ. ვ.“

## ბუქარისტი.

პოლიტიკური მოღვაწე მილლე სასტიკათ ჰკიცხავს თავის მეფის ნეიტრალურ პოლიტიკას. ტყუილა გგონია, რომ მეფე პოლიტიკას შესცვლისო, ამბობს იგი, რადგან ფერდინანდი გერმანელია და გოგენცოლერნის შთამომავალიო“ „რუს. ვედ“.

## ი ნ გ ლ ი ს შ ი.

ინგლისის მთავრობამ გარდასწყვიტა შეეკითხოს ყველა ინგლისელ მამაკაცებს სურთ თუ არა ჯარში ჩარიცხვა და ან ამის სასარგებლოდ მუშაობა. „ნოვ. ვრ.“

## საფრანგეთის ჯარის მდგომარეობა.

საფრანგეთის ჯარის ფრონტზე ცხლახან წასულ კორესპონდენტები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთის ჯარს არ დაუკარგავს სულის სიძლიერე. 11 თვის ბრძოლის განმავლობაში ფრანგის ჯარს არ მოკლებია არც ტანისამოსი და არც სანოვაგე. ყველანი ჯანსაღათ არიან და დარწმუნებულნიც არიან, რომ გაიმარჯვებენ.

## რუსების მდგომარეობა პარიზში.

„პეტერბურ. ვედ“. კორესპოდენტი გვისურათებს პარიზის რუსის კოლონიის უმწეო მდგომარეობას.

რუსის საელჩოში დამყარებულმა პრაქტიკამ, რომ სამშობლოში იგზავნებოდნენ მხოლოდ ის პირნი, რომელთაც საზღვარ გარეთული პასპორტი აქვთ, უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა დიდი უმრავლესობა რუსებისა პარიზში. მათთვის არ არსებობს არავითარი სოციალური დახმარება.

ამ უკანასკნელ დროს 20-ზე მეტი მოხდა თვით-მკვლელობა. და უმთავრესათ იმ წრეში, ვისაც დამოკიდებულობა აქვს მეცნიერებასთან, ლიტერატურასთან და მხატვრობასთან.

რუსეთის ფულის ფასის დაწევამ, ერთი ორათ გაამწვავა რუსების არსებობა პარიზში, დახურდავების დროს 1 მანეთში იძლევიან 2 ფრანკს და ამ გვარათ, 30% იკარგება. „ნ. ვ.“

# რ უ ს ე თ ი.

## ჯამაგირების მომატება.

მთავრობა ადგენს ახალ კანონპროექტს მოხელეების ჯამაგირის მოსამატებლათ.

## პეტრე სტრუვეს აზრი.

„ბ. ვ.“ — 14905 — №-ში პეტრე სტრუვე სწერს ომის დაწყებისთანავე ხალხსა და მთავრობას შორის ჩამოვარდნილი ერთობა თანდათან მტკიცდება, ურომლოთ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება შეუძლებელია.

მთავრობა და ხალხის წარმომადგენელნი, ამბობს ბ. სტრუვე, თავს ანებებენ ცალ-ცალკე მოქმედებას და ერთს სახელმწიფოებრივ ძალას ჰქმნიან.

ამ გზას ადრე თუ გვიან უნდა დასდგომოდა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება, მხოლოთ ომიანობამ იგი მიუცილებელ საჭიროებათ ცნო და დააჩქარა. მაკლაკოვის თანამდებობიდან გადადგომა, ნიშანია არა ნაკლებ შესანიშნავ პროცესისა, როგორც არის შეერთება თვით მთავრობისა 1905 წ. 19 ოქტომბრის ბრძანების მიხედვით. მთავრობა ხდება შეერთებულ სახელმწიფო ძალათ. ეს პროცესი დიდს მნიშვნელობას აძლევს მომავალ სახელმწიფო სათათბიროს სესიას. უნდა ვიფიქროთ, ამბობს ბ. სტრუვე, რომ სახელმწიფო სათათბირო ახლო მომავალში იმ პირობებში შეიკრიბება, როდესაც ის არ შეკრებილა თავის დაარსებიდან. მომავალმა სახელმწიფო სათათბირომ ზნეობრივი დახმარება უნდა გაუწიოს შეერთებულ მთავრობას და აქტიური მოქმედებით ხელი შეუწყოს მის გამარჯვებას მტერზე.

# მასიური შურის ძიება*).

(დასასრული, იხ. „სამ.“ № 108.)

„დევნისა ჩემისათვის
მივაგო მე“...

მუდმივმა შოვინისტურმა წაქეზებამ თავისი გაიტანა და ინგლისშიაც კი „პოგრომებს“ მიჰყვეს ხელი.

აი, როგორ აგვიწერს ინგლისში ნემცების აოხრება-აწიოკების ამბავს ცნობილი ლონდონელი კორესპონდენტი, ბ. დიონეო.

„როგორც კი ომი დაიწყო, მაშინვე ინგლისის საზღვრებიდან ათიათასობით გერმანელი გამოვიდა, რადგან მათ, ომის გამოცხადების შემდეგ, ინგლისში დარჩენა სახიფათოთა და საზედისწეროთ მიაჩნდათ. თვითონ ინგლისის მთავრობამ 19 ათასამდე ნემეცი დაატყვევა და თავმოსაყარ ადგილებში გაგზავნა. თავისუფალ მცხოვრებლებათ და ჩა ინგლისში კიდევ 40 ათასამდე გერმანელი, ამათში 16 ათასი იყო ქალი. პოლიციამ ისინი ხელუხლებლათ დასტოვა, რადგან მათ მშვიდობიან, უვნებელ, მშრომელ და პატიოსან ხალხათ სთვლიდა. უმეტესათ ისინი იყვნენ: მებულკე ნემცები, ყასბები, მეკალბასეები, ვაჭრები და პარიკმახერები. მდიდარმა ნემცებმა დროზე უშველეს თავს და საზღვრებიდან გავიდნენ: მათგან ახლა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იყო დარჩენილი. ომის გამოცხადების შემდეგ პრესის ერთმა ნაწილმა აშკარათ იწყო ქადაგება, რომ არა თუ არაქვეშევრდომი ნემცების დატყვევებაა საჭირო, არამედ ქვეშევრდომ ნამდვილ ნემცებსაც ის დღე უნდა დავაყენოთ. ეს პრესა მოითხოვდა, რომ ინგლისში ვინც კი ნემეცი იყო, თუნდაც ის ინგლისის სამსახურისთვის მთავრობისგან დაჯილდოვებულიც ყოფილიყო, მაინც დაეტყვევებიათ.

ცოტა ხნის შემდეგ ინგლისში მთელი ლიტერატურა გაჩნდა ნემეც ჯაშუშების შესახებ, რომელთა ოინების აწერასა და მათ კიცხვა-ლანძღვას სქელ-სქელ ტომიან წიგნებს უძღვნიდნენ. ამ დარგის სპეციალისტი ბელეტრისტიც კი გამოჩნდა, რომელსაც სახელათ ლე კიკსი ჰქვია.

ამ ნაირათ ინგლისის ბეჭდვითი სიტყვის ერთი ნაწილი თავიდან შეუდგა აგიტაციას, რომ მთავრობას დაეტყვევებია ყველა ინგლისში დარჩენილი გერმანელი, რადგან, მათი აზრით, მათ შორის ბევრი ჯაშუში იყო. მთავრობა დღემდე უპასუხებდა, რომ ის თვალ-ყურს ადევნებს მათ. მაგრამ საქმეს ვერაფერს ამ ჩნევს, რადგან ეს ნემცები ყველა მშვიდობიანი, მშრომელი და უწყინარი მცხოვრებნი არიანო. ინგლისელები თითქო დაენდვნენ მთავრობის ზემოხსენებულ განცხადებას და დღემდე ნემცებს არ მტრობდნენ.

მაგრამ, როგორც კი გაიგონეს, რომ ნემცები ბრძოლის ველზე „მხამიან ყუმბარებს“ ხმარობენ და ამბავი მოვიდა, რომ ინგლისის უდიდესი ხომალდი „ლუზიტანია“ ნემცების წყალ-ქვეშა ნავმა არ დაინდო და ზღვის უფსკრულში ჩაღუპა, ინგლისელები თითქო მოულოდნელათ ბრაზმა და შურმა შეიპყრო, თავ-გზა აერიათ და შურისძიების ცეცხლი მოედოთ; მათ მაშინვე ეგრეთ წოდებულ „ლიუკების“ დაარსება დაიწყეს, სადაც ინგლისში ჩვეულებრივათ დამნაშავეები და გაქცეულები იყრიან თავს; და აი ამ „ლიუკების“ დაარსებას შედეგათ სისტემატიურათ მოწყობილი გერმანელთა „პოგრომი“ მოჰყვა.

ბევრი დუქან-მაღაზია დალეწეს, ბევრი სახლი აიკლეს, ბევრი ოჯახი ააწიოკეს და [illegible] ინგლისელები, რიცხვით [illegible], ბრბო რუსეთში ცნობილ „პოგრომჩიკებს“ დაემსგავსნენ.

მართალია უჩვეულო რამ არის ლონდონისთვის, მაგრამ მეტათ დამახასიათებელი კია დღევანდელი კაცთ-ჭამიობის მომენტისათვის.

მართალია ინგლისური კანონით მთელი ზარალი სახლის პატრონებს გადახდებათ, ე. ი. ისევ ინგლისელთ და ამ ნაირათ ნემცები ასეთი „პაგრომით“ ნაკლებათ იზარალებენ; მაგრამ აქ სამწუხარო და თან საკვირველი ის არის, რომ ინგლისური კულტუროსანი ბრბო იმდენათ გამხეცებულა და ნემცების წინააღმდეგ შურის ძიებას იმდენათ გაუტაცნია იგი, რომ საკუთარი ინტერესებიც დაუვიწყნია მას და მხეცურ ინსტიქტებს სავსებით აყოლია.

როგორც ხედავთ, ინგლისური „პაგრომი“ არაფრით განსხვავდება „რუსულისაგან“ და თუ ამ გზით იარა ინგლის-რუსეთის დაახლოება-დაკავშირებამ, მალე ვიხილავთ იმასაც, რომ ინგლისის „იმპერალიზმიც“ თითქმის ყველაფრით დაემსგავსება რუსეთისას.

მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვიცით, რომ კაცობრიობის ისტორია უკუღმა არ მიდინარეობს, აქედან ღრმათა გვწამს რომ ყოველივე ზემოთ აწერილი დროებითი და წარმავალია, გვრწამს რომ კაცობრიობას ინგლის-რუსეთ-გერმანიის იმპერიალისტებზე უკეთესი და ღირსეული წინამძღოლები ყავს და აი ამ წინამძღოლების ხმის ამოღებას ვუცდით ჩვენ!

დ—ელა.

*) ეს წერილი ეკუთნის ბ-ნ დ—ელის, პირველ ნახევარს შეცდომით მოწერილი ჰქონდა „კ“.

## ქუთ. ძველი საქველმოქმედო საზოგადოების კრების გამო.

დღეს, 20 ივნისს, ზემო ნახსენებ საზოგადოების კრებაა დანიშნული. ამ ბოლო დროს უმოქმედოთ დარჩენილ მის ხელმძღვანელთ სწორეთ მოხდენილ და მეტათ საჭირო დროს განუზრახავთ ქუთაისის საზოგადოების წევრების მოწვევა.

რაკი დღეს ეს საკითხი წარმოსდგა, საჭიროა მას უფრო სერიოზულათ შევხედოთ, ვინემ ბევრს იგი ასე ადვილათ მოეჩვენება. ამისათვის კი საჭიროა მეტი დრო, მეტი მაცადინობა, ვინემ ერთი დღით ადრე მისი გამოცხადება.

საჭიროა ერთი კვირის დრო მაინც მიეცეს ქუთაისის ფართო საზოგადოებას და არამარტო ხსენებულ საზო-

# არითმეტიკა სახალხო სკოლებში.

ამ სათაურით გაზ. „შრომის“ № 23-ში მე მოთავსებული მქონდა წერილი, სადაც სხვათა შორის ვამბობდი, რომ დიდს დანაშაულს ჩადიან ის მასწავლებლები, რომელიც ქართულად არ ასწავლიან ამ საგანს პირველი განყოფილების შემდეგ-მეთქი. მართლაც, დიდი სისუსტეა ის გარემოება, რომ ქართულად არითმეტიკის სწავლება არ გვეხერხება. მე მოგახსენებთ, სისუსტეა ჩვენი, დიახ ჩვენი-მთელი ქართველობის და არა მარტო სახალხო მასწავლებლების.

სოფლის მაწავლებელს, როგორი ენერგიის პატრონიც უნდა იყვეს იგი, მაინც არ შესწევს ძალა რომელიმე საგნის სალ-პედაგოგიურ პრინციპებისათვის დამორჩილებისა, რადგანაც იმდენი ცოდნა არ მოუციათ ჩვენთვის, რომ სხვის დაუხმარებლად ახალი ხანა შევქმნათ ამა თუ იმ სასწავლო საგნის დაყენებაში. დღემდის ხომ ეროვნული ენის საშვალებით არითმეტიკის სწავლება არც ერთს დასაწყისა და საშუალო სკოლაში არ ყოფილა და არც აწი დაგვითხოვენ სამსახურიდან, თუ ქართულად არ ვაცოდინებათ მოწაფეებს რომელიმე არითმეტიკული ტერმინი, მაგრამ ჩვენ ამით თავს ვერ გავიმართლებთ შთამომავლობის წინაშე. შეიძლება, შთამომავლობამ სხვა რიგად შეხედოს საქმეს და არა ისე, როგორც თანამედროვე მასწავლებელთა ერთი ნაწილი უყურებს. შეიძლება—შთამომავლობამ მოინდომოს აზროვნება ქართულად, რასაც დღესაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და მათ შორის ჩვენი საუკეთესო პედაგოგებიც. შეიძლება—დღესაც არ მოიწონოს ჩვენი ერის საუკეთესო მოღვაწეებმა ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლები მოწაფეებს არითმეტიკას გაუგებრად ათვისებიებენ. არ იფიქროთ, რომ მასწავლებლებს ეს უხაროდესთ? არა... თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქართველ მასწავლებელს, რომელსაც სწავლის საქმის გაადვილება არ უნდოდეს, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებენ ეს იმიტომ, რომ მეტი ღონე არა აქვსთ. აღზრდილი ყველა ნაკლებადა ვართ, ნასწავლი ისე გვაქვს და უფრო ცუდადაც, როგორც ჩვენ ვასწავლით; ჩვენი განვითარებისთვის თავს არავინ იწუხებს, ჩვენ-კი საშუალება არა გვაქვს და ამრიგად, უნებურად, გამოვდივართ ერის გადამახინჯება-გადაგვარებლის როლში.

სახალხო მასწავლებლები დიდხანს პასიური მაყურებლები იყვნენ, უყურებდნენ—ეგებ რაიმე გვეშველოსო, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ საქართველოში იმდენს არავინ არ აკეთებს, რამდენსაც ლაპარაკობს; მით უმეტეს სწავლის საქმის შესახებ ხომ ჩვენს მეტი თავს არავინ არ შეიწუხებს და ამიტომაც არის, რომ, სხვა დროსთან შედარებით, წელს მეტი ყურადღების ღირსი შევიქენით, რისი ერთი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ბ. ლ. ბოცვაძისაგან აღიარებული მასწავლებელთა მონაწილეობის მიუცილებლობა სახელმძღვანელო წიგნების გარჩევის საქმეში. (იხ. „სამშობლო“ №98).

მე ბ. ბოცვაძეს ბრალს კი არა ვსდებ იმაში, რომ მას არ სურდა სახალხო მასწავლებელთა თვით გამორკვევა—არა... იგი ყოველთვის ჩვენი განვითარება-გამოფხიზლების მსურველი იყო; აბა, რას მიეწერება ის აზნაგური განწყობილება, რომელიც არსებობს ბ. ბოცვაძესა და სახალხო მასწავლებელთა შორის? ვისაც-კი მიუმართავს მისთვის, ყველას წესიერი პასუხი მიუღია და განა ეს არ ნიშნავს, რომ ბ. ბოცვაძე ყოველთვის და ყოველგან მომხრე იყო მასწავლებელთა გონებრივად განვითარებისა, რასაც ჰმოწმობს ჟურნალი „განათლების“ იმ პირობებში არსებობა, რომელშიაც არის იგი დღეს, თუ აქამდის მასწავლებლებს მისი ორგანო, ასე ვსთქვათ, ცოტა სხვა რიგად ეპყრობოდა ეს იმიტომ, რომ უნდოდა გაეღიზიანებია ისინი და ბრძოლაში ჩაება; ეხლა-კი, როცა ამას მიაღწია, ვფიქრობთ—სხვა რიგად იმოქმედებს და ზურგს გაუმაგრებს ახლადფეხადგმულს ქართველ მასწავლებლობას (დაწვრილებით ბ. ბოცვაძის ორგანოს შესახებ გვექნება ლაპარაკი ახლო მომავალში) და თუ ეს ასეა, თუ თეორეტიკოსები ხედავენ სახალხო მასწავლებლების გამოფხიზლებას, მაშინ ისინიც შესაფერ დახმარებას გაუწევენ მათ.

ამას წინათ მე მქონდა ლაპარაკი ერთს უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელთან, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ დაუჯერებთ ქართველი გრამატიკის სწავლების საჭიროება არ საჭიროებს სილ. ხუნდაძეს ბ ლუარ. ბოცვაძესო“. იმედია, ეს პირები არ დაიშურებენ ახლო მომავალში აჯაროდ დამტკიცება, რომ ქართული გრამატიკა და არითმეტიკული ტერმინების ქართულად სწავლება, ბევრს სხვა სარგებლობასთან ერთად, უადვილებს მოწაფეებს, როგორც უცხო ენის შეთვისებას, ისე სასწავლო საგნის გაგებასაც.

ხშირად მესამე განყოფილების ბავშვებმა რუსულად ოთხი მოქმედება იციან პრაქტიკულადაც და თეორეტიულადაც, ქართულად—კი რიცხვებსაც ვერ კითხულობენ, რაც ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ ამოცანების გამოყვანა ძალიან უჭირს სახალხო სკოლიდან გამოსულს მოწაფეს. რომ პრინციპის—მიაჩვიეთ ყმაწვილები ცხოვრების მიერ წამოყენებული ამოცანების გამოყვანას და შეუფარდეთ ყოველი არითმეტიკული კომბინაცია ცოცხალს სინამდვილეს—განხორციელება გაადვილდეს, მიუცილებელია პირველად ქართულად ისწავლებოდეს ესა თუ ის ნაწილი არითმეტიკისა და შემდეგ რუსულად, რადგანაც უამისობა არ გვარგებს. ამას აქამდისაც გრძნობდენ. მაგალითად, ბ. კახაბერი გულმოდგინეთ სთარგმნის არითმეტიკის წესებს, მაგრამ ტერმინებში ძალიან სუსტობს, რისთვისაც არც ერთს ჩვენს მოწინავე პედაგოგს არ მიუქცევია ყურადღება, რაც დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს მათ. ბ. კახაბერი თუ სახალხო მასწავლებელია, ეპატიება იმისთანა ტერმინების ხმარება, რადგანაც სხვაგან სულ არ ხმარობენ ქართულად იმ სიტყვებს და ისიც კარგია, რომ მან მოათავსა „განათლება“-ში წერილები ამის შესახებ; თუ იგი რომელიმე საშუალო, ან ოთხკლასიანს სასწავლებელში მასწავლებლობს, დიდი დანაშაული ჩაუდენია, რადგანაც სხვისი ვექილობა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა თვითონ დაწვრილებით გესმით გასარჩევი საგანი. მაშ ასე, ვინაიდან ლაპარაკი კახაბერის ტერმინოლოგიის შესახებ, გავარჩიოთ მისი წერილის რამოდენიმე ადგილი.

ბ. კახაბერი ბრძანებს: „ერთს ან რამდენსამე სწორს ნაწილს მთლისას ჰქვიან ნაწევარი“ (იხ „განათლება“ № 5 1914 წ). გასაკვირველია, საიდან იშოვნა მან ტერმინი „ნაწევარი“. მთელი იყოფა ნაწილებად ე. ი. ნაწილდება; ჩვენ ვლაპარაკობთ „დავანაწილეთ“ და არა „დავანაწევრეთ“; სიტყვა дробь წარმოსდგება ზმნის дробить—საკან, რაც ქართულად დახურდავებას, და ნაწილებას ნიშნავს; მთლის და-

გადოების წევრებს, რომ ამ საკითხს ღრმათ ჩაუკვირდენ, ყოველ მხრივ აწონ-დაწონონ, წინასწარ საფუძვლიანათ მოილაპარაკონ, ფართო გეგმა შეიმუშაონ და გარკვეული პროექტებით მოვიდენ კრებაზე ამ სერიოზულ და სასარგებლო საკითხის გადასაწყვეტათ.

საფუძვლიანათ მისი გარკვევა მით უფრო საჭიროთ მიმაჩნია, რომ ამ საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი უკვე პრესაშია წამოყენებული აქ და თფილისშიაც („საქართველოში"). როგორც ირკვევა, საზოგადოება მარტო ორიოდე გროშის პატრონი როდი ყოფილა, მას 40.000 მან. უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონია და აი ამ სარფიანი განძის საფუძვლიანათ, საჭიროების მიხედვით, მოხმარების საკითხი სწორეთ რომ ყველა ჩვენი კულტურული დაწესებულების წარმომადგენლებმა უნდა იკისრონ, რათა იგი ყველაზე უფრო შესაფერისს და საჭირო სახალხო საქმეს მოხმარდეს.

ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია, რაკი „სამშობლომ" ხსენებულ საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი დღეს წამოაყენა და მისი წესდების ძალითაც საზოგადოების მოსპობის შემდეგ „მისი თანხები ადგილობრივ ქველმოქმედებას უნდა მოხმარდეს", ე. ი. ასეთ „ქველმოქმედებათ" რედაქციას მიუჩნევია ამ ქონების გადაცემა ახალ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის, — ამისთვის მეც მინდა ჩემი აზრი წარმოვსთქვა მოკლეთ ამის შესახებ.

ახლად დაარსებულ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მე სულითა და გულით თანავუგრძნობ და მის მომავალ აყვავებას, მძლავრათ ქართულ ნიადაგზე გაფურჩქვნას წრფელის გულით მოველი. მხოლოდ ქუთაისის კულტურულ დაწესებულებათა ავკარგს რომ ვეცნობი და თუნდაც გარედან თვალ-ყურს ვადევნებ, ვრწმუნდები, რომ მათში უპირველესი, უადრესი და სახალხოდ მიჩნეული უნდა იყოს ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ ქართველურ ბიუროკრატიულ ბურუსშია გახვეული, რაც ასე საჭიროა დროიანათ გაიფანტოს და იგი ნამდვილ სახალხო, კულტურულ საქმიანობად გადიქცეს.

ამისათვის კი მას ყველა ქართულ დაწესებულებაში უფრო თანაგრძნობა აქვს მოპოებული და აი ამ თანაგრძნობის გაღვივებას უნდა დროიანათ და შესაფერისათ ვეცადოთ. ყოველი ღონე ვიღონოთ. ეს კი დამოკიდებული იქნება მის ნივთიერ გაღონიერებასა და ზნეობრივ ზედგავლენაზე.

ამ მხრით ქუთაისის განყოფილებამ პირველი მძლავრი ნაბიჯი უკვე გადადგა: 400—წევრი უკვე შეიძინა და მოაწყო დღეს 25000 მან. მეტად ღირებული სრულიად ახალი კოხტათ და ლამაზათ მოწყობილი სახლი, —ეს კულტურული იარაღი თავის წმინდა მიზნის: წერა-კითხვის, სწავლა—ცოდნის გავრცელებისათვის. ორი მესამედი ამ ძვირფასი ქონებისა, რასაკვირველია, ვალათ აქვს საზოგადოებას კიდევ ორი წლის ვადით.

ამ ცოცხალი ქონების გამოსაყიდათ მას ამთავით საკმაო საზოგადოებრივი დახმარება ნივთიერათ სჭირდება და აი სწორეთ დღეს გვეძლევა შესაფერი შემთხვევა სულზე მიუსწროთ ამ საქმის ფეხზე წამოყენებას, მყარ საფუძველზე აღორძინებას.

ამ საზოგადოებას თავის სტამბის, ქაღალდის და წიგნების, საწყობისა, საკაზმავის, მომავალ წიგნის მაღაზიისა და სტამბის კანტორისათვის ძლიერ და მეტათ ჭირდება გვარიანი მოდიდო ბინა. დღეს იგი ნაქირავებ სახლშია ვიწროთ, საიდანაც ერთი წლის შემდეგ მას პატრონი ფასის მომატებით დაემუქრება და საზოგადოებაც იძულებული იქნება იქ საკმაოთ დანახარჯი, აებარგოს და საძებრათ გაუხდეს ბინა.

ასევე საძებარი აქვს თავშესაფარი ბინა სახალხო უნივერსიტეტს, დრამატიულ საზოგადოებას, ეთნოგრაფიულს და სხ. მისთ. კულტურულ დაწესებულებებს, რომელნიც დღიდან თავიანთ დაარსებისა მომთაბარე (кочевники) ხალხებივით ხან ერთ დაწესებულებაში აფარებენ თავს, ხან მეორეში, ხან მესამეში და ხან კიდევ სულ უბინაოთ რჩებიან ხოლმე და კერძო პირების ბინებზე ინახება მათი მცირეოდენი მოძრავი ქონება.

ამიტომ მიუცილებელი საჭიროებაა ხსენებულ კულტურულ დაწესებულებებს, რაკი შემთხვევა გვეძლევა, დღეს მაინც მოვუპოვოთ საკუთარი ბინა, სადაც ყველა ზემოხსენებულ საზოგადოებებს შეეძლებათ თავი მოუყარონ და ამხრით უზრუნველყონ თავიანთი მოღვაწეობა ჩვენ ქვეყნის ნიადაგზე.

ამისათვის მე ვარჩევ და ვამჯობინებ, თუ კი დღევანდელი ან გადადებული კრება ხსენებულ საქველმოქმედო საზოგადოებისა გადასწყვეტს მის ლიკვიდაციას საბოლოოთ, მისი ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება გადაეცეს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რომელიც სხვა კულტურულ დაწესებულებებთან შეთანხმებით ხსენებულ მიზნისათვის მოიხმარს ძველი საქველმოქმედო საზოგადოების ამოდენა ძღვენს.

დაწვრილებით ამაზე აქ აღარას ვამბობ და ვურჩევ დღევანდელ კრებას გახადოს იგი წინასწარ მოსალაპარაკებელ თათბირად და სრული ფართო კრება საზოგადოებისა მოიწვიოს დღეისწორებისათვის.*)

**ისიდორე კვიცარიძე.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, როგორც კერძო აზრს, ბ—ნი ავტორი ალბათ კარგად ვერ იცნობს დასახელებულ საზოგადოების წესდებას. ამ წესდებით საზოგადოების ქონება თუ გადავა სხვა საზოგადოების ხელში, ისევ და ისევ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს. **რედ.**

# ნარკვევი.

„სახალხო ფურცლის" თანამშრომელი ბ-ნი გ—ლი წერს რა ომის ამბებს, ასე აგვიწერს დღევანდელ მდგომარეობას ბრძოლის ველზე:

გერმანელების გემებს ყუმბარები დაუშენიათ ვინდავასთვის და დესანტის გადმოსხმა დაუპირებიათ, მაგრამ რუსის ჯარს ხელი შეუშლია ამისათვის. ერთი გერმანელების ნაღმოსანი დასტაკებია ნაღმს და ჩაძირულა. რუსების ნაღმოსნებს ვინდავას ჩრდილოეთით უკუუქცევია გერმანელების საფარი გემები. როგორც სჩანს აქ საზღვაო-ოპერაცია ჯერ არ დამთავრებულა. მაგრამ ეს ოპერაცია მაინც და მაინც დემონსტრაციად უნდა ჩაითვალოს ჯერ-ჯერობით . . . . . .

შავლის, ბუგო-ნარევის და ვისლის მარცხენა ნაპირის რაიონებში სიწყნარეა. რადგანაც ამას წინად აქ ყველგან მოწინავე რაზმების შეტაკებანი და არტილერიის სროლა ხდებოდა და ამ შეტაკებებს უფრო მტრის დაზვერა ჰქონდათ მიზნად დასახული, უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელები აქ ფართო ოპერაციას ამზადებენ ვარშავის წინაამდეგ. მდ. ვეპრეს და ბუგის შუა გერმანელები ზამოსტიე-სოკალის ხაზით წინ მოდიან. ზამოსტიე ხოლმიდან სულ 40 ვერსის მანძილზეა. გარდა ამისა ზამოსტიეს დაჭერით გერმანელები აიძულებენ მდ. ტანევის დატოვებისათვის. ამ რიგად იგი თანდათანინ უახლოვდებიან ლიუბლინ ხოლმის ხაზს. გუშინდელი ოფიციალური დეპეშა ბრძოლის პირის ხაზად იხსენიებს დასავლეთ ბუგს და გნილაია ლიპას. ასე რომ ამ ჟამათ ოფიციალური ცნობების მიხედვით ბრძოლის პირი პილიცას სამხრეთით რადომის დასავლეთით იწყება, სამხრეთით ოპოლის ილჟას და გლინიანი-ორაჟოვის ხაზით ზავიხოსტით მდ. ტანევის შესართავთან გადადის, შემდეგ ამ მდინარის ხაზით, მერმე ჩრდილოეთით ზამოსტიემდე, აქედან გადადის სოკალთან და ბოლოს მდ. ბუგის და გნილაია ლიპას ხაზით მიდის, აქედან აღმოსავლეთით მდ. დნესტრის მარცხენა ნაპირს გაჰყვება. გერმანელები როგორც ეტყობა არ უცდიან მდ. დნესტრის და აღმოსავლეთ გალიციის საბოლოოდ განთავისუფლებას. ცხადია მათ ეს ოპერაცია ავსტრიელებისათვის მიუნდვიათ და თვითონ კი ლიუბლინ-ხოლმისკენ ფართო ოპერაციას შეუდგნენ. მაგრამ მარტო ამ მხრით იგინი არ დაკმაყოფილდებიან და უნდა ველოდეთ, რომ ვარშავისკენაც დაიწყებენ რასმეს. პრასნიშის რაიონს ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა ეძლევა და შეიძლება სწორედ აქ გაჩაღდეს მკაცრი ბრძოლა.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

ხვალინდელ ჩვენს სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: დიმიტრი ზაქ. ძე ბაქრაძე, თავ. ქართული გიმნაზიის, თავ. სახალხო სახლი, სახ. მასწ. სიმონ სიდამონიძის ძე შანიშვილი, ჭაიდარ-ბეგ აბაშიძე და შტ.-როტ. გრიგოლ ქაიხოსროს ძე ღორთქიფანიძე. წერილები: ლექსი ნარ-ეკალისა და მოთხრობა — ედიდისა.

✦ სამხედრო სანიტარული მეოთხე და მეხუთე ტრანსპორტი ამ დღეებში გაემგზავრება ბრძოლის ველზე.

✦ მესამე რაიონის აგრონომი თხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, დაუთმოს ქუთაისისა და რიონის სადგურებს შუა ადგილი ზომით ორი ქცევა საცდელ მინდვრების მოსაწყობათ. ქალაქის გამგეობამ აგრონომის თხოვნა ვერ დააკმაყოფილა, რადგანაც აღნიშნული ადგილი იჯარით აქვთ გაცემული და იჯარის ვადა ჯერ არ გათავებულა.

✦ დათიკო დავითის ძე ბაღდავაძემ, ი. ეფრემიძემ და ვ. ქუთათელაძემ შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე სოფ. ზენობში მომხმარებელი საზოგადოების დაარსების შესახებ.

✦ დღეს ქალაქის თეატრში მსახ. დავ. ჩარკვიანის მურუსიძისა და ნემოს თაოსნობით დაკლებულ ფასებში წარმოდგენილი იქნება 3 მოქ. დრამა „ცხოვრების გმირი" და 1 მოქ. ვოდევილი „სიდედრი მაია".

✦ 18 ივნისს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ ერთდროული დახმარება აღმოუჩინა: არქიერის კორაზე არსებულ წიგ. საც. სამკითხველოს 100 მ. და წყალტუბოს სამკითხველოს 50 მ.

✦ ვასილ იოსების ძე არდიშვილმა საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას მუზეუმში შესანახად გადასცა ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი ძველი ხელობისა, ბეჭედს წითელი ქვის თვალი აქვს რომელზედაც ადამიანის სახეა ამოჭრილი. ბეჭედი უპოვნიათ მიწაში, მუშაობის დროს ნიკოითის ახლოს.

✦ წელს ქუთაისის გუბერნიაში მრავალი სხვა და სხვა ჯიშის აბრეშუმის თესლი დარიგდა. მოსავალის მხრით, როგორც გავიგეთ, ყველაზე ნაკლები გამომდგარია ფრანგული ჯიშის თესლი. (ათუთ მოვლას ითხოვს და ასეთ მოვლისათვის არ არიან მზად ჩვენი მეაბრეშუმენი) სრულიად გამქრალა და მეაბრეშუმე მწარმოებლები მშრალზე დაუტოვებია უცნობ წვრილ ფირმის თესლებს, რომელთა უმეტესობაც უცხოეთის სახელით ადგილობრივ მზადდება და ჩვენ ხალხში სიაფის გამო, სამწუხაროდ, უხვად ვრცელდება. ყველაზე მეტი მოსავალი გლეხებისათვის მიუციათ ხრისტოდულიდისის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლს (ნესტორ წერეთლის თესლს), რომელიც მთავარ საბრეშუმო რაიონში „შემნახველ-გამსესხებელი" და „კოოპერატიული ამხანაგობის საშუალებით გავრცელდა.

✦ ქუთაისის გუბერნიის, ბათომისა და სოხუმის ოლქის სატყეო კომიტეტმა, უმაღლესათ დამტკიცებული 1914 წ. 23 მარტის ტყის დაცვის შესახები ფურცლები გააკრა. საჭიროა ასეთი ფურცლების გაკვრა ჩვენი სოფლების სავლეხო სასამართლოებშიაც, რადგანაც ცრუ ხმების წყალობით, ჩვენმა გლეხობამ მთლათ გაანადგურა ტყე. საჭიროა აგრეთვე სოფლის შეგნებულმა პირებმა აუხსნან გლეხობას ტყის მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა.

✦ 21 ივნის ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება იაფ ფასიანი წარმოდგენა ალ. ცაგარლის თარგმანი 4 მოქ. დრამა [illegible]

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ხელ-ახალი [illegible] ბა 17 ავგისტოს, სწავლა კი 1 ენკენისთვის.

✦ როგორც ღ. ჩოხატაურიდან გვატყობინებენ, ამ ჟამათ სიმინდი სრულიად არ შემოდის და ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის.

✦ როგორც გვწერენ, სოფ. ვაკის-ჯვარში (გურია) გახსნეს უფასო წიგნ-საცავ სამკითხველო, და კოოპერატიული სავაჭრო მაღაზია. ხალხი მუყაითად ეკიდება ასეთ საქმეებს. საჭიროა სხვა სოფლებიც წაბაძავდენ ამ მაგალითს.

## თფილისი.

— სემინარიელები უნივერსიტეტში. სახალხო განათლების მინისტრმა გრაფმა იგნატიევმა უწმინდესი სინოდის ობერ პროკურორს საბლერს აცნობა, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულთ უფლება მისცენ ყველა უნივერსიტეტში უეგზამენოთ შესვლისა. საბლერმა სამინისტროს აცნობა, რომ ასეთი ზომის საწინააღმდეგო მას არაფერი აქვს.

ამის შემდეგ ყველა უნივერსიტეტის რექტორს ცირკულიარი გაეგზავნება რომ სემინარიელები ყველა ფაკულტეტზე სტუდენტები უეგზამენოთ ჩაირიცხებიან. **„თ. აზრი."**

— **გენერალ გ. ნ. ყაზბეგის მესამე შვილის სიკვდილი.** გენერალი გ. ყაზბეგის ერთმა შვილმა ბრძოლის ველზე დალია სული, ხოლო მეორე მისი შვილი ბრძოლის ველზედვე უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ჯერ არავინ იცის, ტყვედ ჩაუვარდა მტერს ხელში და ცოცხალია, თუ სადმე მოკვდა. ეხლა კიდევ, როგორც ცნობა მოვიდა, მისი მესამე შვილი რაფიელი მოულოდნელი შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა პეტროგრადში: იგი თავისს ცოლთან ერთად ავტომობილით მიდიოდა, ავტომობილი რაღაცა შემთხვევით გადაბრუნებულა და დამსხვრეულა და რაფიელ ყაზბეგსაც იქვე სული დაულევია, მის ცოლს-კი ხელი მოუტეხია. როგორც ამბობენ, მიცვალებულს მოასვენებენ დასაკრძალავად მის სამშობლო სოფელ სტეფანწმინდაში. რაფიელ ყაზბეგი სამხედრო ინჟინერი იყო და, რამდენადაც ვიცით, ამ ჟამად განაგებდა ხელმწიფის სასახლის ავტომობილთა მიმოსვლას. „საქ."

## ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

(დასასრული იხ. „სამშ." № 108).

დილიკაურის მამულის საკითხზე კამათის შემდეგ, კრებას უნდა აერჩია დროებითი კომისია, მაგრამ სანამ ამას შეუდგებოდა, თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, თუ ვისმეს სურდა შემოეტანა კერძო საკითხი.

მაშინ ია ეკალაძე მოითხოვა სიტყვა და სთქვა: „რადგანაც ბ. თავმჯდომარემ ნება მოგვცა კერძო წინადადების შემოტანისა, მე მინდა იმ საყურადღებო და სასარგებლო დადგენილების შემდეგ, რომელიც შეეხება პროვინციებში წიგნების გავრცელებასა და აგენტურის მოწყობას, ბარემ გადაწყდეს კიდეც საკითხი საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ; მოგახსენებთ ბატონებო, რომ ეს საკითხი ბევრჯერ ირჩეოდა მთავარ გამგეობაში, უკიდურესობამდე მიაწია და შეიქნა კიდევაც შფოთისა და დავიდარაბის თავათ; რადგანაც ამიერიდან წ. კ. საზოგადოების გამგეობა უახლოვდება სოფლის ხალხს, კარგი იქნება შემცირდებოდეს საწევრო გადასახადი იმ ზომამდი, რომ საზოგადოთ მშრომელ ხალხს, გლეხობასა და მუშებს საშუალება მიეცეთ იგემონ ის მადლი, რომელიც უნდა დასთესოს წ. კ. საზოგადოებამ; ამით საზოგადოება შეასრულებს თავის მოვალეობას და იგი აღარ დარჩება დაწესებულებათ მარტო ინტელიგენტებისა და შეძლებულთათვის".

გრ. ლაღიძე, გახარებული ასეთი წინადადებით წამოუგება, მოიყვანს ანდაზას „О бѣломъ бычкѣ" და წინააღმდეგობას გამოსთქვამს საწევრო გადასახადის შემცირების შესახებ.

ბ. ჯაიანი. ამ კრებაზე ამის შესა-

---

წილებისაგან ვღებულობთ მასს ნაწილს და ამ აღებულს ნაწილს შეჰფერის სახელი „ნაწილადი" და არა „ნაწევარი. შეიძლება მიპასუხონ — თუ „ნაწილადი" იხმარეთ და არა „ნაწევარი" რანაირად გინდათ გაარჩიოთ ტერმინები „частное" და „дробь"-ო, აქ ხომ საჭიროა სხვა ტერმინები, რადგანაც „ნაწილადი" ეწოდება რიცხვს, რომელსაც ვღებულობთ გაყოფის შემდეგ და რასაც რუსულად „частное" ჰქვია, дробь—კი, „ნაწევარიაო"-ო; მე მაშინ ასე გიპასუხებთ—дробь есть частное, происходящее отъ дѣленія числителя на знаменателя, რაც უფლებას მაძლევს ქართულად ვიხმარო ტერმინი „ნაწილადი". იქვე აღნიშნულია, რომ ხაზს ზემოდ დაწერილს რიცხვს ჰქვიან „მრიცხველი", რაც რუსულად რომ გადავთარგმნოთ იქნება „числящій" და არა „числитель", რასაც. ნამდვილად თუ ვიტყვით, უფრო შეფერის „მრიცხავი", რაც ტერმინი გამოვა და არა განმარტება. კახაბერის აზრით რუსული სიტყვა „знаменатель" ქართულად არის „მნიშვნელი", მაგრამ ეს უბრალო გრამატიკული გაუგებრობაა; სიტყვა знаменитель ტერმინია, „მნიშვნელი"—კი განსაზღვრება და ამიტომ უკეთესი იქნება ვიხმაროთ **„მნიშნავი"**, რომელიც გვიჩვენებს, რამდენ თანასწორ ნაწილად არის გაყოფილი მთელი. შემდეგ ჩვენ ვხედავთ სიტყვებს „ათეული სისტემის მრიცხველობა" (იხ. „განათლება" № 6—1914 წ.) გადმოუთარგმნია десятеричная система счисленія, ჯერ ერთი რომ счисленіе „მრიცხველობა" კი არ არის—აღრიცხვაა, მეორე—ათეული ტერმინია десятеричная—განმარტება და ამიტომ უნდა ითქვას: ათეულებიანი, ან ათიანი სისტემა აღრიცხვისა; კიდევ—десятичная дробь „ათწილადი ნაწევარია" მისი აზრით, უნდა იყოს პირ-დაპირ ათწილადი, ეს ჩვენი ენის სიმდიდრის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია: простая дробь — ნაწილადი, десятичная ათწილადი, ვფიქრობთ, უკეთესია. ბ. კახაბერის აზრით 0, 2 წაიკითხება „ნული მთელი და ორი ათეული" (ხაზი ყველგან ჩემია ნ. ქ.), მაშ აქ არაფერი კი არა, ორი ათეული ყოფილა მთელი, რადგანაც ათეული ტერმინია, იგი რუსულად არის десятокъ და კახაბერულად თუ წავიკითხეთ, გამოდის нуль цѣлое два десятка და არა нуль цѣлое два десятыхъ; იქვე გვასწავლის პატივცემული ტერმინოლოგი; წაიკითხეთ რიცხვი 25, 125 ასე: „ოცდა ხუთი მთელი და 125 ათასეული", მე კი ვურჩევდი წაეკითხათ ოცდა ხუთი მთელი და ასოცდა ხუთი მეათასედი. როგორც სახალხო მასწავლებელმა (თუ სოფელშია), შეიძლება ზოგი ტერმინი ვერ გაიგონა ბ. კახაბერმა, მაგრამ მეათედი, მეასედი, მეათასედი ჩვენი უბრალო ხალხის ტერმინებია. ერთი სიტყვით, მისი შრომა ჩვენ არაფრად არ გამოგვადგება, არც გამოგვადგომია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ მისი გამოსვლით შეიძლება მცოდნე პირები ალაპარაკდენ, მემის წერილებს აღარ მივაქცევ ყურადღებას, აწ მოვუწოდებ ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს, დაჩქარებით გამოაქვეყნონ საჭირო არითმეტიკული ტერმინები, რომ ამით საშუალება მოგვცენ ამ საგნის სწავლების მოწესრიგებისა. ადვილად შეიძლება, არც გიმნაზიაში გადიოდენ ქართულად პირველ დაწყებით ანგარიშის გარდა, მაგრამ იქ ამას იმისთანა ფართო მნიშვნელობა არა აქვს, როგორც სახალხო სკოლაში, რომლის მიზანია ცოტა ხნის განმავლობაში გააგებინოს დაწვრილებით მოსწავლე ახალგაზდობას ესა თუ ის საგანი, რაც დღევანდელ მასწავლებლებს არ გვეხერხება და ამიტომაც საჭიროა გარეშე დახმარება და თეორიაში ხომ სახალხო სკოლათა მასწავლებლები ქართული გიმნაზიისას ვერ შეედრებიან, მაშ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიის ქართველო მასწავლებლებო! მიაქციეთ ყურადღება დაღარიბებულ ქართველ გლეხობას, მიეცით საშუალება მისი შვილების განმანათლებლებს კარგს ნიადაგზე დააყენონ სწავლების საქმე, ნუ დაიზარებთ თითო-ოროლა წერილის მოთავსებას ქართულს გამოცემებში და მით დაუმტკიცეთ ხალხს, რომ თქვენც მისი მოჭირნახულე ხართ და არა მხოლოდ „დიდი უჩიტელი", როგორც გლეხობა გეძახის თქვენა.

**ნიკ. ქამუშაძე.**

ხებ ლაპარაკი უადგილოდ მიმაჩნია, რადგანაც ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მთავარ გამგეობამ.

გრ. გიორგაძე სავსებით ეთანხმება ია ეკალაძის წინადადებას და გრ. ლაღიძეს კი უწუნებს ანდაზების მოყვანას ამის შესახებ.

ია ეკალაძე. შენიშნავს გრ. ლაღიძეს და ჯაიანს, თან გამოთქვამს სურვილს, რომ ამ საკითხის შესახებ აღძრულ იქნას შუამდგომლობა ქუთაისის განყოფილების მიერ.

კრებამ მიიღო ია ეკალაძის წინადადება და დაადგინა, იქონიოს მსჯელობა შემდეგ კრებაზე.

გ. ტუსკია. შემოაქვს საკითხი და მოაგონებს კრებას ქუთაისში აკაკის სახსოვრად ძეგლის დადგმის შესახებ, წინადება შემოაქვს, გამგეობამ მიიღოს თავისთავზე ინიციატივა. ეს მოხსენებაც შეიტანეს ოქმში შემდეგ კრებაზე განსახილველად.

ბ. ჯაიანი. შემოაქვს წინადადება, მიღებულ იქნას გამგეობის მიერ ზომები, რათა შახ-ბარათოვებისა და სხვა ასეთი ავტორების მიერ შედგენილი წიგნაკები არ ვრცელდებოდეს, რადგან ასეთ წიგნებს შეაქვს მდაბიო ხალხში უზნეობა და გარყვნილება.

ივ. კილაძე. ბრალს სდებს მესტამბეებს და წინადადება შემოაქვს გამოუცხადონ მესტამბეებს ასეთი შინაარსის წიგნაკები არ დაბეჭდონ.

ი. ფანცხავა. შეუძლებლად სცნობს, რომ მესტამბეებმა უარი უთხრან ავტორებს და არ დაუბეჭდონ.

გ. ლაღიძე. ეთანხმება ი. ფანცხავას აზრს და უხერხულად მიაჩნია კრების ასეთი დადგენილება.

ვ. მიქელაძე. აცხადებს, რომ ასეთი მავნე მიმართულების წიგნაკების გავრცელების შესახებ წ. კ. საზოგადოებამ უნდა მიიღოს ზომები და ეს იქნება კულტურული საშუალება.

ი. ბაქრაძე. გამგეობა თუ გამოსცემს იაფ-ფასიან კარგი შინაარსის ლექსებს და მოთხრობებს და გაავრცელებს ხალხში, ამით შესაძლებელი იქნება ბრძოლა.

ია ეკალაძე. შახ-ბარათოვმა გამოსცა უკვე 324 ნომერი და ყველა გასაღდა, ალბათ სიიაფისა გამო; საზოგადოებაც თუ ასე მოიქცევა, მაშინ უშველის საქმე; მან უნდა გამოსცეს იაფ ფასიანი წიგნაკები ხშირად.

ი. კაკაბაძე ეთანხმება ასეთ წინადადებას.

ა. ლოლაძე. სახალხო მასწავლებლები უნდა დაიახლოვოს გამგეობამ, მოახდინოს მასწავლებელთა კრება და დაავალოს მათ, მიიღონ ზომები ხალხში ასეთი წიგნაკების გავრცელების წინააღმდეგ.

ი. ოცხელი. შეუძლებელია სახალხო მასწავლებელთა კრების მოწვევა, რადგან ამას უნდა ნებართვა სამოსწავლო მთავრობისაგან.

ბევრი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა. გამოუცხადოს ბრძოლა მავნებელი ლიტერატურის ხალხში გავრცელებას, როგორც პრაქტიკულად ისე პრესის საშუალებით. წ. კ. საზ. სტამბამ მიაქციოს ყურადღება და არ დაბეჭდოს თავის სტამბაში ასეთი წიგნაკები.

თავმჯდომარე. კითხვები გამორკვეულია, დაასახელეთ სარევიზიო კომისიის წევრები.

კრება ასახელებს გ. ურატაძეს ს. წერეთელს და დ. უზნაძეს. წერეთელი უარს აცხადებს; ასახელებენ რ. კანდელაკს, ისიც უარს აცხადებს; ასახელებენ გ. ტუსკიას; უზნაძე და ტუსკიაც უარს აცხადებენ. ბოლოს ასახელებენ და კიდეც ირჩევენ გრ. ურატაძეს, ა. ჯანელიძეს და ე. ჩხატარიშვილს. ნაშუადღევის სამის ნახევარ საათზე კრება დამთავრდა.

გაგრძელება უნდა მოხდეს ორი კვირის შემდეგ, ე. ი. 28 ივნისს.

**ლადო ბზვანელი.**

## ცოტა-რამ წყალტუბოზე.

დღით-დღე იზრდება ჩვენში წყალტუბოს სახელი. აუარებელი ქალი და კაცი, ნასწავლი და უსწავლელი აწყდება ამ სამკურნალო წყლებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ესკი მოწმობს—რამდენათ გაზრდილა ჩვენში სამკურნალო კურორტების მოთხოვნილება, ეს ყველაფერი იმის უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენი საზოგადოება საჭიროებს წესიერათ მოწყობილ კურორტებს. მაგრამ რამდენათაც იზრდება ხალხის მოთხოვნილება, იმდენათ უკან რჩება წყალტუბოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში—და ეს იმიტომ რომ აქ ყველაფერი ძველებურათ არის მოწყობილი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სრულებით მოუწყობელია: არავითარ გაუმჯობესებას, არავითარ წესს აქ ადგილი არა აქვს. ტყვილად შეიწუხებ თავს იქ მისვლით: სიამოვნების ნაცვლად, იგემებ უსიამოვნებას, განკურნების ნაცვლად, შეიძენ რაიმე ახალ სენს. პირველი,—რომ ბინები არ ვარგა: არის რაღაც ოთახები, სადაც, თუ ღამის გათევა მოგიხდა, დაბ დებას დაგაწყევლინებენ ბაღლინჯო—რწყილი—ქინქლები, მერმე თვით აბანოს წესები უცნაური: არ არსებობს კერძო, განსაკუთრებული საბანოები, არის საერთო აუზი, სადაც იძულებული ხარ იბანაო ყოველგვარ ავათმყოფებთან, რომლის ნახევარი ნაწილი მაინც შეპყრობილია სხვა და სხვაგვარი გადამდები სენით. გამკითხავი არავინაა! ხშირად თუ ქალები ასტეხენ აურ-ზაურს და ხანდახან ხელჩართულ ბრძოლასაც, თორემ კაცები ხმა-ამოუღებლად ემორჩილებიან შემთხვევას და ჩქარობენ მალე მოისტუმრონ სეზონი.

აბანოს გამგეობა ხომ პირდაპირ თვალითობს; თითქოს აბანოს გასაწმენდათ ყავთ მიჩენილი ორი ბიჭი და ერთი ქალი (უკანასკნელი ქალთა განყოფილებისათვის), რომელთა მოვალეობა უნდა იყოს, წყლის დროზე გაშვება, აბანოს დასუფთავება და საერთო თვალყურის დევნება. მაგრამ განა შეიძლება ასე მცირე შტატმა პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა? მით უმეტეს, ამათ უხდებათ მუშაობა ყოველდღე დილის 4 საათიდან ღამის 11 საათამდის, ე. ი. მთელი 19 საათის განმავლობაში. აი, ნიმუში ჩვენი ცხოვრების სიღუხჭირის და განუვითარებლობისა. ამიტომაცაა, რომ ხშირად ტყუილს მიმართავენ: დაკეტენ აბანოს კარებს, აბანო იწმინდებაო, გაცდევინებენ და მერმე გაგიღებენ, რომ ჩახვიდე მხოლოდ მოყოვნებულ წყალში, რომელიც სავსეა ყოველგვარი სიბინძურით. ასეთია ხშირათ აბანოს გასუფთავება-გაწმენდის არსებული წესი. ნამდვილ გაწმენდაზე არავინ თავს არ იწუხებს თუ ვინმემ მიაქცია ყურადღება და მოითხოვა გაწმენდა, ბიჭები ხელებში შეჩერებიან—რამდენ ქრთამს მოგვცემსო. ეს არც უნდა გავიკვირვოთ, რადგან იმ ჯოჯოხეთურ შრომის ფასათ (დღეში თითქმის 20 საათის მუშაობისათვის), სარწმუნოთ ვიცი, ალები აძლევენ მსახურთ მხოლოდ ათ მანეთს თვეში და ამათაც ხელები გაწვდილი აქვთ მობანავეებისაკენ დაუმსახურებელი საჩუქრისთვის. ეს გარემოება რყვნის და ძირს სცემს უმისოთაც უკუღმართ ზნეჩვეულებას აბანოს მსახურთა შორის. თუ რაიმე სიტყვა ჩამოუგდე ბ.ბ. იოსელიანებს (აბანოს პატრონებია) გაუმჯობესებაზე, წესიერების დამყარებაზე, ისინი თითქოს ყველაფრის თანახმა გაგიხდებიან, მაგრამ არ შესწევთ არც ძალა და არც ცოდნა საქმეს რაიმე უშველონ. მართალია, აბანოს პოლიცია და განსაკუთრებით ყველასაგან კარგათ ცნობილი ბ. ახმედ ბეგი მეტად ფხიზლათ და გულწრფელათ ეპყრობა სისუფთავის და წესიერების დაცვას, მაგრამ მისი ყოველგვარი ცდა ყოველ-დღიურ ვითარების მოწესრიგებაში მხოლოდ წვეთად—თუ ჩაითვლება. ჩემის ფიქრით—კი საჭიროა მიექცეს ყურადღება შემდეგ მთავარ მოთხოვნილებებს: 1) მუდმივი ექიმის მოწვევა, რომელიც წინასწარ უნდა სინჯავდეს მომსვლელთ და უნიშნავდეს ბანაობის დროს და საზღვარს; 2) მოწყობა კერძო საბანოებისა და ჰიგიენურათ გადაკეთება საერთო საბანაოსი, სადაც ექიმის გადაწყვეტილებით, უნდა ჩადიოდენ მხოლოდ ერთნაირი ავათმყოფები; 3) მოსამსახურეთა შტატის გადიდება და მორიგეობის შემოღება (სულ უკანასკნელი საჭირო იქნება ორი რიგი); 4) სანოვაგეზე ზრუნვა და ნიხრის დაწესება; 5) საკუთარი მიმოსვლის მოწყობა (ლინეიკების და ურმების ყოლა); 6) საკურორტო ბაღის შექმნა; 7) სადგომ ბინების გაშენება და არსებულის ჰიგიენურათ მოწყობა გადაკეთება; 8) საკუთარი ჟურნალ გაზეთების გამოწერა; 9) საკუთარი კანტორის გახსნა ქუთაისში, სადაც წამსვლელთ შეეძლოსთ საჭირო ცნობების მიღება და სხვა. მხოლოდ მაშინ აბანო დაემზგავსება რამეს და მიმსვლელიც დაბადების დღეს არ დაიწყევლის.

**ს. ლ.**

## ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიური კრების გამო.

(შთაბეჭდილებანი).

მეტი სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ ჩვენმა ქალებმა შეიგნეს თავიანთი მოვალეობა, რომ უსაქმობას და ფუქსავატობას თავი დაანებოს-იწყეს გამოსვლა საზოგადო სარბიელზე და თავიანთ წვლილის შეტანა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობაში. ვინ იქნება ისეთი, რომ ქალთა ასეთი ნაბიჯის გადადგმას ოვაციებით არ შეეგებოს. სიმართლე უნდა მოგახსენოთ, მეც ერთი ამათთაგანი გახლავარ და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ აქვს, როცა ვხედავ ჩვენი ქალების საქმიანობას, როცა ვხედავ, რომ დღევანდელი ჩვენი ქალი სითამაშით ტიკინი აღარ არის და რომ ის დღეს აღჭურვილია საკაცობრიო იდეალებით.

ჭეშმარიტებაა, რომ საზოგადოების კეთილ-დღეობა და წინმსვლელობა შეფერხებული იქნება, იმ დრომდე, ვიდრე ქალები ამ საზოგადოებრივ წინმსვლელობას სრულ უფლებიან თანამოაზრენი არ გახდებიან. მაგრამ როდის მოხდება ეს?.. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალებით სავსები შეიგნებენ და შეისწავლიან ჩვენი ცხოვრების პირობებს, აღიმაღლებენ ხმას, დაიწყებენ საქმიანობს და ანგარიშს გაუწევენ ყოველივე საზოგადოებრივ მოვლენას. ამის მაგალითს, რომ ნაბიჯი უკვე გადადგმულა, ერთით, ჩვენ ვხედავთ და თუ რამდენათ განახორციელებენ—მომავალი გვიჩვენებს.

როგორც ზევითაც ავღნიშნე სიხარულით ვეგებები ქალთა საზოგადო სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლას და კიდეც ამიტომ სიხარულით გავეშურე ქუთაის ქალთა საზოგადოების წლიურ კრებაზე, რომელიც მოხდა კვირას, 14 ივნისს. მაგრამ .. ჩემი წინასწარი ოცნება-ოცნებათ დამრჩა და სინამდვილემ კი, სამწუხაროდ, წინააღმდეგი დამანახვა. მეგონა, რომ ეს კრება, როგორც სხვა კრებები ყოფილა-იქნებოდა სერიოზული, საქმიანი. მეგონა, რომ ჩვენი დები და დედები აქაც გამოიჩენდენ მეტს სიდინჯეს, მეტს სათნოებს, მეტს სიფხიზლეს და მეტს საქმიანობას, მაგრამ ნაცვლად ამისა თვალწინ გადამეშალა სულ სხვა სურათი.

არავითარი კრების წესრიგი იქარ ყოფილა დაცული, კამათის მაგიერ ასტყდა ჩხუბი და აყალ-მაყალი ურთიერთ შორის. გაჩაღდა ინტრიგანობა, ერთი-მეორის დაცინვა არ იყო გაგონება და დაფასება პიროვნების. თუმცა კრებაზე იყო საღი მომქმედი ელემენტიც მაგრამ იმით ვერას გახდნენ. ამ კონკლაობით მთელი სალამო იტრიალეს ერთი საკითხის-სახელ-საქმო სკოლის გარშემო, რომელიც მაინც ვერ იქმნა საბოლოვოთ გადაწყვეტილი. ეს სკოლა, სიმპატიური დაწესებულებაა, მაგრამ როგორც დავინახეთ, მის გარშემო იმდენი ინტრიგანობაა გაჩაღებული, რომ ძირი ეთხრება და, თუ ასე გაგრძელდა სულ დაიღუპება, დიდი ვაი ვაგლახით ამ საკითხზე დასრულდა სხდომა და გადაიდო შემდეგისათვის. იყო სხვა საკითხებიც, მაგრამ ამ კრებაზე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

(დასასრული ხვალ).

## მოწოდება,

### დიდათ პატივცემულ წევრებს.

ქ. მ. წერა-კით. გ. ს. განყოფილების მთავრებლობის ქვეშ მყოფ ბალახვანის „შოთა რუსთაველის“ უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოისა.

პატივცემულო ბატონებო! რაღა საჭიროა მოგახსენოთ, რომ წიგნსაცავ სამკითხველოები ეს ის ნაწრთობი ფოლადის იარაღია, რომელიც ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას უმზადებს უტყუარს წინმსვლელობას და გამარჯვებას. ესეთი რწმენა გვაიძულებდა გაგვეხსნა ბალახვანის უბანში სამკითხველო, რომელიც ქუთაისის საზოგადოების უხვი დახმარების წყალობით, მართლაც პირნათლათ ეწევა თავის დანიშნულებას და დღითი დღე ზრდას თავის მკითხველთა და მოტრფიალეთა რიცხვს. პირველი ნაბიჯი გადადგმულია თქვენის დახმარებით; შემდეგი არსებობა და აღორძინებაც თქვენს თანაგრძნობაზეა დამყარებული, და თუ ამას დიდ კადნიერებათ არ ჩამოგვართმევთ, მოგმართავთ თხოვნით—ნუ მისცემთ დავიწყებას თქვენს ნორჩს დაწესებულებას და ნუ დაიზარებთ გადაუხდელი საწევრო ფულის შემოტანას, რაზედაც, უნდა მოგახსენოთ, დამოკიდებულია ხსენებული სამკითხველოს არსებობა..

დიდის ბოდიშით თქვენს წინაშე ბალახვანის „შოთა-რუსთაველის“ სახელობის წიგნსაცავ სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტი.

## დაბა-სოფლები.

**სოფ. ბჟინევი.** ეს სოფელი ქორეთის საზოგადოებაშია. მას მდებარეობა აქვს ვაკე. სოფ. ბჟინევი ძალიან პატარაა; აქ ცხოვრობს ორმოციოდე კომლი, რომლის უმეტესი ნაწილი აზნაურობაა. ამ სოფელს არავითარი კულტურული დაწესებულება არ აქვს. სოფ. ბჟინევს აქვს ერთი დიდი ადგილი, რომელსაც „დიდ-ველს“ უწოდებენ, აქ რომ სასწავლებელი დაარსონ აგრონომიული განყოფილებით, დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს და მიაჩვევს მას მიწის კულტურულად დამუშავებას.

ამ სოფელში ძველი ციხის ნანგრევება დარჩენილი; როდის, ან ვისგან არის აშენებული არავინ არა იცის რა. როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის ძველს ისტორიულ ნაშთებს პატივისცემით ეპყრობიან ყველგან და აქ კი, თითქმის, ძალით ანგრევენ. ამას სჩადიან ისეთი პირები, რომელთაც სწავლაც აქვთ მიღებული და ნივთიერი გარემოებაც ხელს უწყობს თავის შენობის ასაშენებლათ სხვა ადგილიდან მოიტანონ შენობის მასალა. და თუ ამას სჩადიან შეგნებული პირები, რაღა ითქმის შეუგნებლებზე, რომელნიც ამ ძველ ნაშთებს არ დაინდობენ.

ამ ციხის ნანგრევებში ბ. [illegible] ქი, რომელიც დღემდის მთლად შენახულია. ამ ლოქში ჩავა სულ ხუთი ბოთლი. მას აქვს ორი ხელ-მოსაკიდი, მხოლოდ ყელის ნაპირები გარშემო შემოფხვნილი აქვს. ეს ლოქი მოწმობს ქართველების სხვა და სხვა ხელობის განვითარებას ძველ დროში. შესაძლებელია ამ ნანგრევებში კიდევ სხვაც ბევრი რამ იყოს ჩამარხული და ამ ციხის ასე უდიერათ მოპყრობა არ ეპატიება ადგილობრივ მცხოვრებთ.

**ქორეთელი.**

## თეატრი და ცხოვრება.

კვირას, 14 ივნისს, ხარაგოულის სცენის მოყვარეებმა, ბ. სანდალიძის რეჟისორობით, გამართეს წარმოდგენა, წარმოადგინეს ნინოშვილის 4 მოქმ. დრამა „სოფლის გმირები“ და აწყურელის მხიარული ვოდევილი „ცოლქმრობის წინააღმდეგ“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოხდენილი თამაშით თავი ისახელა მხოლოდ ახალგაზრდა სცენის მოყვარემ ქ-მა პოლინა კიკნაძემ (ანიკო), განსაკუთრებით ყურადღების ღირსი იყო ის, როდესაც თავის ქმრის ხელში სიცოცხლეს ესალმება, აქ მან უნაკლულოთ დაგვისურათა მომაკვდავი ადამიანის სულის კვეთება; იმედია ქ-ნ კიკნაძის სცენაზე გამოსვლა უკანასკნელი არ იქნება ჩვენთვის, ვინაიდგან ის [illegible] საჭიროებს შეადგენს ჩვენი პატარა სცენისათვის, დანარჩენები, შეიძლება ითქვას, რომ ხელს უწყობდენ საერთო ანსამბლს, გარდა ნ. დეკანოიძისა (მცირიშვილი), რომელიც, როგორც გავიგეთ, მოუმზადებლათ გამოსულა ამ პასუხსაგებ როლში. ვოდევილი უფრო დრამას წააგავდა, ვიდრე ვოდევილს დასაწყისში, მაგრამ ბ. ვ. დეკანოიძის გამოსვლის შემდეგ მან ფერი იცვალა და მხიარულად ჩატარდა. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

**მეხი.**

## აჭარლების დახმარება.

მივიღე ქუთაისის სადგილ მამულო ბანკიდან ღამშეულთა და აჭარლების სასარგებლოთ შეწირული 2400 მან. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდან შეწირული აჭარლების სასარგებლოთ—1000 მ. და შავი-ქვის მრეწველთა საბჭოდან აჭარლების სასარგებლოთ შეწირული—500 მან. ქართ. საქველ. საზოგ. ქუთ. განყოფილების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

**ხაზინადარა გრ. გველესიანი.**

**ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა.**

**ცხინვალი.** ბ. ნატან. დავითის ძე ელიაშვილს. სიამოვნებით დავიბეჭდავთ ყოველივე საყურადღებოს ებრაელთა ცხოვრებიდან. მოგვაწოდეთ მასალები. თქვენი წინასწარმეტყველი ახლო მომავალში დაიბეჭდება.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „ჯ ა ზ მ უ ლ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა ტ ი ა: ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა დ ა ხ ა ლ ხ უ რ ი პ ო ე ზ ი ა“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში.